

**მოწვევა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად:
„უახლესი მიგრაციული პროცესები და ევროპა: გამოწვევები და შესაძლებლობები“**

თბილისი, საქართველო
კონფერენციის თარიღი: სექტემბერის ბოლო კვირა
კონფერენციის ჩატარების ადგილი: TBC
კონფერენციის ენა: ქართული და ინგლისური

ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო და შიდა მიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების სწრაფი და ინოვაციური გადაჭრის გზების შემუშავების აუცილებლობა დადგა. რაც უფრო მეტი ადამიანი ხდება ჩართული სხვადასხვა სახის მიგრაციულ პროცესებში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი გავლენის შესწავლა ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. უფრო მეტი ცოდნა საჭირო რათა უკეთ გავიგოთ მიგრანტების სტრატეგიები მიმღები ქვეყნების მუდმივად ცვალებადი კონტექსტების გათვალისწინებით, თუ რა გავლენას ახდენს იმიგრანტების მასშტაბური ნაკადები ადგილობრივ და ეროვნულ ეკონომიკებზე, ან რა შედეგები შეიძლება მათ ჰქონდეთ უსაფრთხოების თვალსაზრისით. არანაკლებ მნიშვნელოვანია გენდერული მიდგომების გათვალისწინება რეგიონში ემიგრაციის, იმიგრაციისა და დაბრუნებითი მიგრაციის შესწავლისას. წინამდებარე კონფერენცია სწორედ რომ ევროკავშირში და ევროკავშირიდან არსებული მიგრაციული პროცესების გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესწავლას ისახავს მიზნად, რათა ხელი შევუწყოთ აკადემიური ცოდნის გაძლიერებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას მიგრაციის სფეროში.

კონფერენციის თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მიგრაცია და დემოგრაფიული პროცესები ევროპასა და ევროკავშირში;
- ეკონომიკა და მიგრაცია ევროპასა და ევროკავშირში: დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- მიგრანტების ინტეგრაცია ევროპისა და ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე;
- მიგრაცია და უსაფრთხოების გამოწვევები ევროპასა და ევროკავშირში;
- მიგრაცია და ევროპის/ევროკავშირის მომავალი ;
- მიგრაცია და განვითარება: ევროპისა და ევროკავშირის სამომავლო სტრატეგიები.

ორდღიანი კონფერენცია წარმოადგენს ფორუმს, სადაც საერთაშორისო და ადგილობრივი მეცნიერები წარმოადგენენ კვლევების შედეგებს ფართო ინტერ-რეგიონული პერსპექტივიდან მიგრაციული პროცესების შესახებ ჩვენი ცოდნის გაუმჯობესების მიზნით. კონფერენციაში მონაწილეობისთვის ვიწვევთ, როგორც გამოცდილ, ისე ახალგაზრდა მეცნიერებს, მათ შორის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს. შერჩეული აბსტრაქტები გამოქვეყნდება.

კონფერენციის აბსტრაქტის გამოგზავნის ვადა: **15 ივლისი, 2016.**



აბსტრაქტის მოცულობა: 250 სიტყვა ინგლისურ ენაზე MS Word-ის ფორმატი. აბსტრაქტს უნდა ახლდეს თან შემდეგი ინფორმაცია: ავტორის/ავტორების საკონტაქტო ინფორმაცია და მოკლე - 100-სიტყვიანი - ავტორის/ავტორების ბიოგრაფია. აბსტრაქტი გამოაგზავნეთ შემდეგ მისამართზე: scmi-secretariat@sda.gov.ge.

მონაწილეების ინფორმირება აბსტრაქტის მიღების თაობაზე: **30 ივლისი, 2016.**

კონფერენციის ჩატარების ზუსტი თარიღის გამოქვეყნება: **5 აგვისტო, 2016.**

სრული სტატიის (5-6 ათასი სიტყვა) გამოგზავნის ვადა: **31 აგვისტო, 2016.**

კონფერენციის პროგრამა: **სექტემბრის პირველი კვირა, 2016.**

კონფერენცია ორგანიზებულია ICMPD პროექტის "მიგრაციის მართვის როლის გაძლიერება" (ENIGMMA) ხელშეწყობით ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის მიერ. შეზღუდული ოდენობის სამოგზაურო გრანტების მისაღებად დოქტორანტურისა და მაგისტრატურის უცხოელი სტუდენტებისთვის - გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი მოთხოვნა დაფინანსების თაობაზე კონფერენციის აბსტრაქტთან ერთად.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: scmi-secretariat@sda.gov.ge.